

პროექტი - Values and Knowledge Education/ საგნის ცოდნისა და ღირებულებების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

მონაწილე ორგანიზაციებია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, ზალცბურგის უნივერსიტეტი, გოეთეს ინსტიტუტი და ავსტრიის კულტურის ცენტრი.

ერთობლივი პროექტი „ღირებულებებისა და ცოდნის განათლების პროგრამის შემუშავება“.

პროექტის მიზანია VaKE -ს ინტეგრირება მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამებსა და მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამებში.

ამოცანები:

- VaKE -ს მიდგომის ჩარჩოს შემუშავება ქართული რეალიების გათვალისწინებით;
- VaKE -ს პროგრამის პილოტირება.

სამიზნე ჯგუფი:

- მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტები
- მოქმედი მასწავლებლები

დაგეგმილი აქტივობები:

- პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (სამუშაო შეხვედრები და ვორკშოპები პროექტის ორგანიზატორებთან და პედაგოგებთან და სხვ.);
- პროგრამის ჩარჩოს შემუშავება (საუნივერსიტეტო კურსისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სატრენინგო მოდულის სახით);

საკითხავი მასალების მომზადება:

- VaKE -ს თეორიული საფუძვლების გაცნობა სამიზნე ჯგუფებისათვის;
- სამიზნე ჯგუფებთან პროგრამის ნაწილის პილოტირება
 - სტუდენტებთან შესაბამისი კურსის შეტანა ინტეგრირებული სასკოლო პრაქტიკით;
 - მასწავლებლების პროფესიული განვითარება VaKE-ს სასწავლო პროცესში დანერგვისა და სტუდენტებთან სასკოლო პრაქტიკაზე მუშაობის მიმართულებით და სხვ.)
- პროექტის შედეგების მომზადება და პუბლიკაციები